პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 261 (10958)

ქვირა, 3 ნოემბერი, 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! დანერგეთ წარმოებაში მოწინავე გამოცდილება, იბრძოლეთ ტექნიკური პროგრესისათვის და შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ა. წ. ოქტომბრის დამლევს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი საბჭოთა არმიასა და ფლოტში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელიც დღეს ქვეყნდება.

პლენუმმა გამოიყვანა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა და ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან ამხ. გ. კ. ჟუკოვი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

საბჭოთა არმიასა და ფლოტში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები, რომლებმაც მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს დიდ სამამულო ომში, აღმოჩნდნენ თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე და პირნათლად გაამართლეს სსრ კავშირის ხალხთა სიყვარული და ნდობა.

ომისშემდგომ წლებში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის მეოხებით, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის საერთო აღმავლობისა და მძიმე მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში დიდ წარმატებათა საფუძველზე, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები თავიანთ განვითარებაში ავიდნენ ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე. ისინი აღჭურვილი არიან ყველა სახეობის თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით და შეიარაღებით, მათ შორის ატომური და თერმოატომგულის იარაღით და რაკეტული ტექნიკით. ჯარების პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობა მაღალ დონეზეა. არმიისა და ფლოტის მეთაურთა და პოლიტიკური კადრები თავისი ხალხის, საბჭოთა სამშობლოს და კომუნისტური პარტიის უსაზღვროდ ერთგულნი არიან.

რთული საერთაშორისო ვითარება, გამალებული შეიარაღება მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში, ჩვენი სამშობლოს დაცვის ინტერესები მოითხოვენ მეთაურებისაგან, პოლიტორგანოებისა და პარტიული ორგანიზაციებისაგან კვლავაც დაუცხრომლად აუმჯობესონ ჯარების საბრძოლო მზადყოფნა, განამტკიცონ მხედრული დისციპლინა პირად შემადგენლობაში, აღზარდონ იგი სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი ერთგულების სულისკვეთებით, იზრუნონ მეომართა სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ ამ ამოცანების გადაჭრაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ საბჭოთა არმიისა და ფლოტში შემდგომ გაუმჯობესდეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, რომელმაც უნდა განამტკიცოს ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერება, დარაზმოს პირადი შემადგენლობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, აღზარდოს სამხედრო მოსამსახურეები საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ამავე დროს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის პრაქტიკაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები, ხოლო ზოგჯერ თავს იჩენს მისი პირდაპირი შეუფასებლობაც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ პარტიისა და ხალხის წინაშე დასახა ამოცანა: ვიქონიოთ ჩვენი თავდაცვა თანამედროვე სამხედრო ტექნიკისა და მეცნიერების დონეზე, უზრუნველყოთ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს უშიშროება. ამ ამოცანის გადაჭრაში ერთმმართველ მეთაურებთან ერთად დიდი როლი ეკუთვნით სამხედრო საბჭოებს, არმიისა და ფლოტის პოლიტიკურ ორგანოებსა და პარტიულ ორგანიზაციებს. მათ ყველამ მტკიცედ და თანმიმდევრულად უნდა განახორციელონ კომუნისტური პარტიის პოლიტიკა.

ჩვენი არმიისა და ფლოტის ძლიერების მთავარი წყარო ის არის, რომ მათი ორგანიზატორი, ხელმძღვანელი და აღმზრდელია კომუნისტური პარტია — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა. მუდამ უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „სამხედრო უწყების, ისე როგორც ყველა სხვა უწყებისა და დაწესებულების, პოლიტიკა ხორციელდება იმ საერთო დირექტივების ზუსტ საფუძველზე, რომლებსაც პარტია იძლევა თავისი ცენტრალური კომიტეტის სახით და მისი უშუალო კონტროლით“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ამხ. გ. კ. ჟუკოვი არღვევდა შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის ლენინურ, პარტიულ პრინციპებს, ახორციელებდა გეზს, რომ შეეკვეცა პარტიული ორგანიზაციების, პოლიტორგანოებისა და სამხედრო საბჭოების მუშაობა, მოესპო ხელმძღვანელობა და კონტროლი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მხრივ.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გამოარკვია, რომ ამხ. გ. კ. ჟუკოვის პირადი მონაწილეობით საბჭოთა არმიაში დაიწყო მისი პიროვნების კულტის დანერგვა. მაამებლებისა და მლიქვნელების დახმარებით დაიწყეს მისი ქება-დიდება ლექციებსა და მოხსენებებში, სტატიებში, კინოფილმებში, ბროშურებში, უზომოდ განადიდეს მისი პერსონა და მისი როლი დიდ სამამულო ომში. ამით ამხ. გ. კ. ჟუკოვის საამებლად მახინჯდებოდა ომის ნამდვილი ისტორია, მახინჯდებოდა საქმის ფაქტიური მდგომარეობა, დაკნინებული იყო საბჭოთა ხალხის გიგანტური ღონისძიებანი, მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალების გმირობა, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების როლი, ფრონტების, არმიების, ფლოტების სარდალთა სამხედრო ხელოვნება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და შთამაგონებელი როლი.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს ამხ. გ. კ. ჟუკოვის დამსახურება, მიანიჭეს მას საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება, ოთხგზის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, დაჯილდოვეს ბევრი ორდენით. მას აღმოუჩინეს დიდი პოლიტიკური ნდობა: პარტიის XX ყრილობაზე იგი არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იგი აირჩია ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატად, ხოლო შემდეგ — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად. მაგრამ ამხ. გ. კ. ჟუკოვმა, არასაკმაო პარტიულობის შედეგად, არასწორად გაიგო მის დამსახურებათა ეს მაღალი შეფასება, დაკარგა პარტიული თავდადებლობა, რასაც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, წარმოიდგინა, რომ იგი არის ყველა გამარჯვების ერთადერთი გმირი, რომლებიც ჩვენმა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა მოიპოვეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უხეშად არღვევდა შეიარაღებული ძალებისადმი ხელმძღვანელობის ლენინურ პარტიულ პრინციპებს.

ამრიგად ამხ. გ. კ. ჟუკოვმა ვერ გაამართლა ნდობა, რომელიც მას პარტიამ გამოუცხადა, იგი აღმოჩნდა პოლიტიკურად უსუსური მოღვაწე, რომელიც იჩენდა ავანტიურიზმისადმი მიდრეკილებას, როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანების გაგებაში, ისე თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობაში.

ზემოაღნიშნულის გამო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაადგინა: გამოყვანილ იქნას ამხ. გ. კ. ჟუკოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა და ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან და დაავალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მისცეს ამხ. ჟუკოვს სხვა სამუშაო.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გამოთქვამს რწმენას, რომ პარტიული ორგანიზაციები, ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, კვლავაც მოახმარენ თავიანთ ძალღონეს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომ განმტკიცებას.

(მიღებულია ერთხმად ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრის, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატების, ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრების მიერ და მოწონებულია ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დამსწრე ყველა სამხედრო მუშაკისა და პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების მიერ).

მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია

ამხ. მაო ძე-დუნის მეთაურობით

2 ნოემბერს დღისით მოსკოველები განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს ამხანაგ მაო ძე-დუნსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრებს. ისინი ჩამოვიდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, სტუმრების შესახვედრად მოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ნ. გ. იგნატოვი, ო. ვ. კუსინენი, ა. ი. მიკოიანი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილენი ნ. ს. პატოლიჩევი და ვ. ს. სემიონოვი და სხვა ოფიციალური პირები. შემხვედრთა შორის იყვნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წევრები, რომლებიც მოსკოვს ჩამოვიდნენ ოქტომბრის ზეიმზე.

აეროდრომზე იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს პერსონალი, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

15 საათსა და 15 წუთზე თვითმფრინავი „ტუ-104“ დაეშვა საფრენ მოედანზე.

საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწენი და ყველა დამსწრე მხურვალედ მიესალმნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს მაო ძე-დუნსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრებს.

თავმჯდომარე მაო ძე-დუნმა მიიღო საპატიო ყარაულის პატაკი. ზეიმურად ეღერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ჩინელი ხალხის წარმომადგენლნ მიესალმნენ აეროდრომზე მყოფთ. მივიდა რა მიკროფონთან, თავმჯდომარე მაო ძე-დუნმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით.

აეროდრომიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელნი გაემართნენ ქალაქისაკენ. ქუჩებში მათ გულითადად მიესალმებოდნენ მოსკოველები. (საკდესი).

„ვ. ი. ლენინი პუტილოვის ქარხნის წითელ გვარდიელებს შორის“ (1917 წ.). (მხატვარ ა. ი. ლავროვის პლაკატი). საკდესის ფოტოქრონიკა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯელალ ბაიარმა დეპეშები გაუგზავნეს ერთმანეთს

1957 წლის 28 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჯელალ ბაიარს გაუგზავნა მისალოცი დეპეშა თურქეთის ეროვნული დღესასწაულის — რესპუბლიკის გამოცხადების დღის გამო.

1 ნოემბერს ჯელალ ბაიარისაგან მიღებულია საპასუხო დეპეშა კ. ე. ვოროშილოვის სახელზე.

ქვემოთ ქვეყნდება დეპეშების ტექსტები.

მის აღმაჯებულებას ბაჯონ ჯელალ ბაიარს, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს

ანკარა

თურქეთის ეროვნული დღესასწაულის — რესპუბლიკის გამოცხადების დღის გამო, მიიღეთ, ბატონო პრეზიდენტო, ჩემი მოლოცვა. ვუსურვებ თურქ ხალხს მშვიდობასა და კეთილდღეობას.

კ. ვოროშილოვი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მის აღმაჯებულებას მარშალ კ. ვოროშილოვს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ, თქვენო აღმატებულებავ, წერილისათვის, რომლის გამოგზავნა ინებეთ რესპუბლიკის დღის აღსანიშნავად, და სულით და გულით ვუსურვებ კეთილდღეობასა და ბედნიერებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს და პირადად თქვენ.

ჯელალ ბაიარი.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

31 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადაეცა რესპუბლიკის ხე-ტყის მრეწველობის მუშაკებს, რომლებიც დაჯილდოებული არიან ხე-ტყის მრეწველობის განვითარების საქმეში მოპოვებული წარმატებებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ბ. გელდიაშვილმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ხე-ტყის მრეწველობის ამ მუშების, ხელმძღვანელი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, პარტიული და პროფკავშირული მუშაკების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ **ლენინის ორდენი** გადასცა ენგურის სატყეო მრეწველობის მეურნეობის ტრაქტორისტს გ. გ. ფიცხელიანს.

შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხე-ტყის მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ გ. ნ. აბრამაშვილმა და ახმეტის სატყეო მრეწველობის მეურნეობის დირექტორმა დ. ს. არველაძემ.

„საპატიო ნიშნის“ ორდენი გადაეცა საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველ მდივანს ზ. ს. უბონაშვილს, ენგურის სატყეო მრეწველობის მეურნეობის ტრაქტორისტს ტ. ი. ჭკადუასა და საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის მდივანს ს. ფ. ჭკადუას.

მედალი **„შრომითი მამაცობისათვის“** მიიღეს ახმეტის სატყეო მრეწველობის მეურნეობის ელექტროხერხის მოტორისტმა გ. ი. ბუჩკურაშვილმა, ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ა. კაპანაძემ და სხვებმა, სულ ხუთმა კაცმა. მედალი **„შრომითი წარჩინებისათვის“** გადაეცა ზუგდიდის სატყეო მრეწველობის მეურნეობის ხის მჭრელს მ. თ. სოლოვიოვს.

ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ გულთბილად მიიღოცა დაჯილდოებულთ და შემდგომი წარმატებები უსურვა მუშაობაში.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდა გ. ნ. აბრამაშვილი.

იმავე დღეს რუსთაველის სახელობის თეატრში ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის სსრ 1957 წლის სპარტაკიადის მონაწილეებთან ქალაქის მშრომელთა შეხვედრაზე მთავრობის ჯილდოები გადაეცა სპორტსმენებს, მწვრთნელებსა და ფიზიკური კულტურის მუშაკებს, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან ჩვენს ქვეყანაში მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის, საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის ამაღლებისა და საერთაშორისო შეჯიბრებებში წარმატებით გამოსვლისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ბ. გელდიაშვილმა წაიკითხა ბრძანებულება დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ **ლენინის ორდენი** გადასცა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს ო. მ. ჭორქიას. **შრომის წითელი დროშის** ორდენი გადაეცა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს **გ. ა.** კარტოზიას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს გ. ვ. სიხარულიძეს. **„საპატიო ნიშნის“** ორდენი მიიღეს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა, სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ მწვრთნელმა გ. ი. ავალიშვილმა, ვ. მ. ბალავაძემ და სხვებმა. მედალი **„შრომითი მამაცობისათვის“** მიიღო 8 კაცმა.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ჭორქია. (საქდესი).

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრისა და მაჯარებელი რაკეტის მოძრაობის შესახებ

2 ნოემბრის დილის 6 საათისათვის მატარებელმა რაკეტმა 425-ჯერ შემოუარა დედამიწას. ამ დროისათვის თანამგზავრი 1,46 შემოვლით ჩამორჩა. 2 ნოემბერს სალამოს მატარებელი რაკეტი თანამგზავრის წინ იყო 1,52 შემოვლით, რაც დროის მიხედვით შეესაბამება 45,5 წუთით ჩამორჩენას.

მოწმენდილ ამინდში მატარებელი რაკეტის დანახვა შეიძლება შეუიარაღებელი თვალით, როცა იგი სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იმოძრავებს ჩრდილოეთი განედის 42 გრადუსიდან 62 გრადუსამდე და როცა ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იმოძრავებს სამხრეთი განედის 30 გრადუსიდან 65 გრადუსამდე. ამასთან ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მატარებელ რაკეტზე დაკვირვება შესაძლებელი იქნება მზის ჩასვლის შემდეგ, ხოლო სამხრეთ ნახევარსფეროში — მზის ამოსვლის წინ.

ამიერკავკასიის რკინიგზას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დროშა მიეკუთვნა

გუშინ, 2 ნოემბერს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში მიიღეს დეპეშა, რომლითაც სსრ კავშირის გზათა მინისტრი ამხ. ბ. ბეშჩევი და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ე. ჩერედნიჩენკო იტყობინებიან, რომ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე კვარტალში მოპოვებული შედეგების მიხედვით ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის კოლექტივს მიეკუთვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

— მხურვალედ ულოცავენ რა ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივს ამ საპატიო ჯილდოს მიღებას, — ნათქვამია დეპეშაში, — გზათა სამინისტრო და რკინიგზელთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ ამიერკავკასიის რკინიგზელები შეინარჩუნებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში მიღწეულ წარმატებებს.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ჯილდოების გადაცემა

პრესის საშუალებით სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა მოწინავე გამოცდილების აქტიური პროპაგანდისათვის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა საქართველოს რესპუბლიკური გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ დაამტკიცა 1957 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ და მედლებით დაჯილდოვა მისი თანამშრომლების ჯგუფი.

2 ნოემბერს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის სხდომათა დარბაზში მოხდა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ჯილდოების გადაცემა. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ და მინისტრმა ვ. გ. ქერქაძემ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის კოლექტივებს მიეკუთვნა სპატიო ჯილდო და უსურვა ახალი წარმატებები მუშაობაში.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ გადაეცა მოწმობა 1957 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ მისი დამტკიცების შესახებ. გაზეთის რედაქტორმა ი. ი. ჩხიკვაშვილმა მიიღო პატარა ოქროს მედალი, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ მ. დ. დავითაშვილმა—დიდი ვერცხლის მედალი, კორესპონდენტმა ნ. ა. იაროვმა — პატარა ვერცხლის მედალი.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დიდი ვერცხლის მედლები გადაეცათ ავრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ დირექტორს მ. ი. ზლატკინსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს უფროსს გ. მ. ბადრიშვილს, რომლებიც დაჯილდოებული არიან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა მოწინავე გამოცდილების აქტიური პროპაგანდისა და გამოფენის ლიტერატურის გამოცემისათვის.

გამოვიდნენ და დაჯილდოებულთა სახელით ამხანაგებმა ი. ი. ჩხიკვაშვილმა და მ. დ. დავითაშვილმა მადლობა გადაუხადეს მთავარ საგამოფენო კომიტეტს მათი მუშაობის მაღალი შეფასებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

საქართველოს მრეწველობა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის

გ. ი. ქადაგიძე,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

საბჭოთა საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი აღფრთოვანებით ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის, რევოლუციისა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში. დიდი ოქტომბრის ცხოველმყოფელი იდეებით აღფრთოვანებულმა საქართველოს მშრომელებმა, მომძე რუსი ხალხის დახმარებით, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში ააფრიალეს საბჭოების ძლევამოსილი დროშა. მას შემდეგ

1940 წელს საქართველოში მოპოვებულ იქნა:

600 ათასი ტონა ქვანახშირი,

119 ათასი ტონა ცემენტი,

41 ათასი ტონა ნავთობი.

1913 წელს კი მოპოვებული იყო მხოლოდ 70 ათასი ტონა ქვანახშირი.



დღითიდღე იზრდება და ვაქკაცდება საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა და კულტურა. ჩამორჩენილი, ნახევრადფეოდალური ქვეყნიდან საქართველო გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად. უმაგალითოდ განვითარდა საქართველოს საწარმოო ძალები, ათვისებულ იქნა მისი უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრენი.

საბჭოთა საქართველოს სიმდიდრენი კი — მისი წიაღისეული, ფლორა და ფაუნა — ურიცხვი და მრავალფეროვანია. 76 ათას კვადრატულ მეტრ ტერიტორიაზე, რაც საქართველოს უჭირავს, შეხვდებით სულ სხვადასხვა რელიეფს, ჰავასა თუ მცენარეულ საფარს. მნახველის თვალწინ გადაიშლება ხან კავკასიონის უღელტეხილის თვალწარმტაცი ყინულოვანი მთები, ხან ალპური საძოვრები და ხან შავიზღვისპირეთის სუბტროპიკული ბაღნარები. აუარაცხელია ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსები.

ბუნებრივი სიმდიდრისა და ნედლეული რესურსების სიუხვის მიუხედავად, რევოლუციამდელი საქართველო მეფის რუსეთის ერთ-ერთ მივიწყებულ, ჩამორჩენილ აგრარულ მხარეს წარმოადგენდა.

იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ოქტომბრამდელი საქართველოს მრეწველობაზე, საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი ციფრები: 1913 წელს საქართველოს მრეწველობამ ერთი სული მოსახლის მიხედვით მოგვცა მხოლოდ 18 მანეთის სამრეწველო პროდუქცია, მაშინ როცა იმავე წელს რუსეთის იმპერიაში საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე მიღებულ იქნა 78 მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საქართველოში ხელისუფლება ხელთ იგდეს მენშევიკებმა. სამი წლის განმავლობაში, რაც მენშევიკები თარეშობდნენ საქართველოში, მათ არათუ არ აამაღლეს სახალხო მეურნეობის დონე, არამედ საბოლოოდ გააპარტახეს ისედაც დაუძლურებული საქართველოს ეკონომიკა. მენშევიკების ბატონობის წლებში არსებულ სამრეწველო საწარმოთა მხოლოდ ნახევარი მუშაობდა.

1921 წლის 25 თებერვლიდან — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ქართველი ხალხის ისტორიაში დაიწყო ეროვნული აღორძინების ერა, თავისუფალი, ბედნიერი სოციალისტური ცხოვრების ეპოქა.

კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველ ხალხს, ისევე როგორც ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხს, შეუქმნეს ყველა პირობა თავისი შემოქმედებითი ძალების, ეროვნული სახელმწიფოებრიობის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე დაიწყო და შემდეგ ფართოდ გაჩაღდა დიდი შემოქმედებითი მუშაობა, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი სათბობი და ენერგეტიკული ბაზების შესაქმნელად. ექსპლოატაციისა და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ქართველი ხალხის თავდადებულმა შრომამ უმაგალითო ნაყოფი გამოიღო. საკმარისია აღინიშნოს, რომ პირველი ხუთწლედის განმავლობაში მძიმე მრეწველობის პროდუქციის გამოშვების საშუალო წლიურმა ზრდამ 54 პროცენტს მიაღწია. თანდათანობით ფართოვდებოდა, იზრდებოდა და ვაქკაცდებოდა მრავალდარგოვანი მრეწველობა.

დიდი ლენინი, რომელიც კარგად იცნობდა კავკასიას, აღნიშნავდა, ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში პირველი რიგის ამოცანაა ელექტროენერგეტიკული მრეწველობის განვითარება. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის განკარგულებით საქართველოში პირველი ელექტროსადგურის — ზაჰესის მშენებლობისათვის გაღებულ იქნა 700 ათასი მანეთი ოქროთი. ეს იყო საქართველოს ჰიდროენერგეტიკის პირმშო და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი პირველი, უმძლავრესი ჰიდროელექტროსადგური.

მესამე ხუთწლედის პირველი სამი წლის განმავლობაში საქართველოს მრეწველობის პროდუქციის გამოშვება ყოველწლიურად იზრდებოდა 10,5 პროცენტით. 1940 წელს ამოღებულ იქნა 600 ათასი ტონა ქვანახშირი ნაცვლად 70 ათასი ტონისა, რაც 1913 წელს იყო მოპოვებული; იმავე 1940 წელს ამოღებულ იქნა 41 ათასი ტონა ნავთობი, გამოშვებულ იქნა 119 ათასი ტონა ცემენტი, დამზადდა 400 ათასი მეტრი ქსოვილი, 8.699 ათასი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, 13 ათასი ტონა შაქრის ფხვნილი და ა. შ. უმეტესობას ამ სახელწოდებათა პროდუქციიდან სრულიად არ უშვებდა საქართველოს მრეწველობა არც 1913 წელს და არც მენშევიკების ბატონობის წლებში. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეს მოხმარდა დაახლოებით 27 მილიარდი მანეთი, რამაც განაპირობა რესპუბლიკის მრეწველობის უმაგალითო განვითარება.

მაგრამ საბჭოთა ქვეყანაზე ჰიტლერელ დამპყრობთა მუხანათურმა თავდასხმამ დროებით შეაფერხა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარება. სამამულო ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ მშრომელებმა მთელი ენერგიითა და ენთუზიაზმით მოჰკიდეს ხელი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეს და უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს. ომისშემდგომ მეოთხე ხუთწლედში მრეწველობის საშუალო წლიურმა ზრდამ 14,1 პროცენტს მიაღწია. განსაკუთრებით დიდი თანხები იქნა დაბანდებული კაპიტალურ მშენებლობაში. მაგალითად, 1946 წლიდან 1955 წლამდე საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებას მოხმარდა 19 მილიარდი მანეთი, აქედან მეხუთე ხუთწლედში დახარჯულია 11 მილიარდი მანეთი. მეოთხე ხუთწლედში განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდებოდა საკავშირო მნიშვნელობის მრეწველობა — ელექტრომეტალურგია (ზესტაფონის ფერომენადნობთა ქარხანა), აგრეთვე ქვანახშირის, მარგანეცის, მანქანათმშენებელი და კვების მრეწველობის მთელი რიგი დარგები. მეოთხე ხუთწლედში ჩაეყარა საძირკველი ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას, ქუთაისის ავტომობილმშენებელ ქარხანას და მთელ რიგ სხვა დიდ სამრეწველო საწარმოებს; ამასთან ფართოდ გაჩაღდა ელექტროენერგეტიკული მშენებლობა.

საქართველოში წარმოიშვა ახალი ინდუსტრიული კერები, განვითარდა მრეწველობის ახალი დარგები. ქართველმა ხალხმა, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განუხრელად ახორციელებდა მეცხრამეტე პარტყრილობის დირექტივებს, მეხუთე ხუთწლედში ახალი, უდიდესი გამარჯვებანი მოიპოვა სოციალისტური მრეწველობისა და, უწინარეს ყოვლისა, მძიმე მრეწველობის განვითარების დარგში. ქართველი ხალხის სიამაყეა ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც ქალაქ რუსთავთან ერთად დაიბადა.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაში ქართველ ხალხს მთელი ქვეყანა ეხმარებოდა. რუსთავში ქარხნის მშენებლობაზე ქართველების მხარდამხარ თავდადებულად შრომობდნენ რუსები და უკრაინელები, სომხები და აზერბაიჯანელები — ჩვენი დიდი სამშობლოს თითქმის ყველა ერის წარმომადგენლები. ასობით ქართველი ახალგაზრდა მეფოლადის, მებრძმედის, მექურისა და მეტალურგის სხვა რთულ პროფესიებს დაეუფლა ურალის, ტაგანროგის, სტალინოს, ყდანოვისა და სხვა ქალაქების მეტალურგიულ ქარხნებში, სადაც მათი მასწავლებლები იყვნენ სახელმოხვეჭილი რუსი და უკრაინელი მეტალურგები. მეხუთე ხუთწლედში რუსთავში ამუშავდა აგრეთვე კოქსქიმიური საამქრო, სააგლომერაციო ფაბრიკა, ორი ბრძმედი და ოთხი მარტენის ღუმელი, მილდამამზადებელი, მილსაგლინავი და წვრილი პროფილის საამქროები, დამთავრდა აგრეთვე ფურცელსაგლინავი საამქროს მშენებლობა. ამუშავდა აზოტოვანი სასუქებისა და ცემენტის ქარხნები, და თუ აქამდე რუსთავი ცნობილი იყო როგორც მეტალურგების ქალაქი, ახლა იგი აგრეთვე ქიმიის, მსხვილი სამშენებლო ინდუსტრიის ქალაქიც გახდა.

მაგრამ მარტო რუსთავი როდია საქართველოს ინდუსტრიის სიამაყე. შეიქმნა რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრი — ქუთაისი, სადაც საავტომობილო ქარხნის გარდა აღმოცენდნენ სხვა მსხვილი საწარმოებიც. ახლა ქუთაისური მარკის თვითსაცლელებს შეხვდებით საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, უზბეკეთისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების მშენებლობებზე და კოლმეურნეობებში. ქართველი ავტომობილმშენებლები აღიზარდნენ მოსკოვისა და გორკის ავტოქარხნებში.

დღეს საქართველო მრავალმხრივ განვითარებული ინდუსტრიის რესპუბლიკაა. მისი ჩარხმშენებელი და მანქანათმშენებელი ქარხნები უშვებენ ლითონსაჭრელ ჩარხებს და საფეიქრო მანქანებს, საშახტო მოწყობილობას, რადიოაპარატურას, ზუსტ ხელსაწყოებს, ჩაისა და ღვინის ქარხნების მანქანა-დანადგარებსა და სხვადასხვა მოწყობილობას.

35 წლის წინათ კავკასიის კომუნისტებისადმი წერილში დიდი ლენინი შემდეგი სიტყვებით ახასიათებდა კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეებს: „ნავთობი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყვარჩელის შახტები), სპილენძი — ასეთია მეტად არასრული ნუსხა ბუნებრივ სიმდიდრეთა... ყველა ღონისძიებით უნდა განვითარდეს მდიდარი მხარის საწარმოო ძალები“.

საქართველოს მშრომელები საქმით ახორციელებენ დიდი ლენინის ბრძნულ მითითებებს; ახლა საქართველოს წიაღისეული ხალხის სამსახურშია ჩაყენებული. რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სხვადასხვა მადნის ოცდაათამდე საბადო და არამადნეული ნედლეულის ასზე მეტი უბანი. შავი მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, საშენ მასალათა წარმოება და რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის სხვა დარგები ამჟამად ძირითადად მარაგდება ადგილობრივი ნედლეულით და სათბობი მასალით. მარტო ჯერჯერობით აღმოჩენილი არამადნეული წიაღისეულის ბაზაზე რესპუბლიკაში მუშაობს 55 სამრეწველო საწარმო.

საქართველო მთის სწრაფი მდინარეების ქვეყანაა. თვალწარმტაცი სანაზავია მთის ნაკადები, მათი მაღალი წყალვარდნილები, რომლებიც ძლიერი ჩანჩქერებით მიედინებიან ულრანი ხეობებით და შეუპოვრად მიილტვიან დაბლობისაკენ, ზღვებისაკენ. ჩვენი რესპუბლიკის ჰიდროენერგეტიკული რესურსების მარაგი უამრავია. ეს მარაგი საშუალებას გვაძლევს ყოველწლიურად გამოვიმუშაოთ დაახლოებით ასი მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ამ მარაგის გამოყენება. საქართველოს მთებსა და ველებზე გაჭიმულია მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები. რესპუბლიკის პირველი ჰიდროელექტროსადგურის — ლენინის სახელობის ზაჰესის ამუშავების შემდეგ განვლილ პერიოდში აგებულ იქნა ახალი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები — რიონჰესი, აჭარწყალჰესი, მაღალი წნევის ხრამჰესი —1, შაორჰესი, სოხუმჰესი, ჰიდროელექტროსადგურების კასკადი სამგორის სარწყავ სისტემაზე. ყოველივე ამის შედეგად ელექტროენერგიის გამომუშავებამ 120-ჯერ გადააჭარბა რევოლუციამდელ დონეს.

თვალსაჩინოდ განვითარდა საქართველოს მსუბუქი და კვების მრეწველობა. 1950 წელთან შედარებით 1955 წელს ბამბეულის ქსოვილების გამოშვება გაიზარდა ხუთჯერ, აბრეშუმისა — 2,4-ჯერ; რესპუბლიკაში მუშაობს მსუბუქი მრეწველობის ისეთი დიდი საწარმოები, როგორიც არის გორის ბამბეულის, თბილისის მაუდ-კამოლის, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატები და ა. შ.

საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში მუშაობს 65 ჩაის ფაბრიკა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩაის გამოშვება თითქმის ასჯერ გაიზარდა. შორს, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ვრცელდება საქართველოს ღვინისა და საკონსერვო მრეწველობის პროდუქცია.

მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა რესპუბლიკაში 71,5 პროცენტით გადიდდა. მწყობრში ჩადგა ასზე მეტი დიდი სამრეწველო საწარმო. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში გადაჭარბებით ასრულებდნენ მზა პროდუქციის გამოშვების გეგმებს, თანდათან ადიდებდნენ მეტალურგიული, ენერგეტიკული, სათბობი, მანქანათმშენებელი, ქიმიური და სატყეო მრეწველობის ნაწარმის, აგრეთვე საშენი მასალებისა და მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის გამოშვებას. მარგანეცის მოპოვება გასულ ხუთწლედში გაიზარდა 61 პროცენტით, ფეროშენადნობების გამოშვება — 26 პროცენტით, ტყვიის კონცენტრატებისა — 2,7-ჯერ, ელექტროენერგიის გამომუშავება—60 პროცენტით. გაყვანილ იქნა ელექტროგადამცემი ხაზები, რომლებმაც შეაერთეს საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემები, დამთავრდა რაიონულ ელექტროსადგურებში აგრეგატების მართვის ავტომატიზაცია. ქვანახშირის მოპოვება 57 პროცენტით გაიზარდა, მანქანათმშენებელი და ლითონდამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა — 86 პროცენტით, ხოლო ლითონსაჭრელი ჩარხების გამოშვებამ 1950 წლის დონეს 1956 წლისათვის 57 პროცენტით გადააჭარბა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის აღმავლობასა და მძლავრ განვითარებას დიდად უწყობდა ხელს რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტი, რომელიც წლითიწლობით ზრდიდა ტვირთზიდვას და უზრუნველყოფდა კოოპერირებულ საწარმოთა შეწყობილ მუშაობას. აღსანიშნავია, რომ ელექტროფიცირებული მაგისტრალების მიხედვით საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტს საბჭოთა კავშირში პირველი ადგილი უჭირავს და ჩვენს ქვეყანაში ელექტროწევის გამოყენების პიონერია.

ამრიგად, ყოფილი მეფის რუსეთის განაპირა, ნახევრადკოლონიური ქვეყანა, როგორიც იყო რევოლუციამდელი საქართველო, საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად, რომელიც წლითიწლობით უშვებს სულ მეტს და მეტ პროდუქციას. ამიტომ არის, რომ ქართველი ხალხი გამსჭვალულია უდიდესი მადლიერებისა და უსაზღვრო ერთგულების გრძნობით მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი და საბჭოთა მთავრობისადმი, რომელთა დაუღალავმა მზრუნველობამ მოუტანა მას ბედნიერი და საამური ცხოვრება.

დიდი ოქტომბრის აღსანიშნავად მასობრივად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება, რომელმაც მოიცვა რესპუბლიკის ყველა სამრეწველო საწარმო, უკვე იძლევა კეთილ ნაყოფს. სამრეწველო საწარმოები ვადამდე და გადაჭარბებით ასრულებენ ნაკისრ გადდებულ ვალდებულებებს. საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ქვანახშირის, ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს სისტემის საწარმოებმა იკისრეს საოქტომბროდ სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ 53 ათასი ტონა ქვანახშირი. ფაქტიურად კი 15 ოქტომბრისათვის გეგმის გადამეტებით მოპოვებულია 70 ათასი ტონა ქვანახშირი, ამასთან შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 1 პროცენტით, ხოლო სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 138 პროცენტით.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს საოქტომბრო შეჯიბრებაში ბათუმელმა ნავთობგადამამუშავებლებმა, რომლებმაც ცხრა თვის გეგმის გადამეტებით გადაამუშავეს მრავალი ათასი ტონა ბენზინი და ნავთობი.

ახალი საწარმოო საჩუქრებით აღინიშნავენ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობის, აგრეთვე სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოების სისტემების საწარმოთა კოლექტივებიც. წარმატებით მუშაობენ ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა, ბათუმის მანქანათმშენებელი, თბილისის ელექტრომავალმშენებელი და სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნები, რომლებმაც ათი თვის გეგმის გადამეტებით გამოუშვეს მილიონობით მანეთის პროდუქცია და მნიშვნელოვნად შეამცირეს მზა პროდუქციის თვითღირებულება.

თვალსაჩინო წარმატებებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს სასურსათო საქონლისა და მსუბუქი მრეწველობის სამმართველოებში შემავალ საწარმოთა კოლექტივები. მათ გეგმის გადამეტებით უკვე გამოუშვეს მილიონნახევარზე მეტი ქილა კონსერვი, 200 ათასზე მეტი დეკალიტრი უალკოჰოლო სასმელები, 1.600 ათასზე მეტი ბოთლი მინერალური წყლები, 250 მილიონზე მეტი ცალი პაპიროსი და სიგარეტი, თითქმის 140 ათასი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, 10 ათასამდე ცალი პალტო და დიდძალი მზა ტანსაცმელი. ამასთან ამ საწარმოებში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 4,4 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულ იქნა 1,2 პროცენტით.

ამიერკავკასიის რკინიგზამ წლიური გეგმის გადამეტებით უკვე გადაზიდა 400 ათასზე მეტი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთები. რკინიგზამ გადაჭარბებით შეასრულა სხვა მაჩვენებლებიც. მაგალითად, ვაგონების ბრუნვა ვალდებულებით ნაკისრი 2 საათის ნაცვლად დაჩქარებულია თითქმის 9 საათით, ელმავლების სადღეღამისო გარბენა გაზრდილია 6 კილომეტრით, ხოლო ორთქლმავლებისა — 3,5 კილომეტრით. სატვირთო მატარებელთა ნახევარზე მეტს შეადგენდა მძიმე წონის მატარებლები, რომლებითაც ნორმის გადამეტებით გადაზიდულია 4 მილიონზე მეტი ტონა ტვირთები. ამასთან დაზოგილია თითქმის ექვსი პროცენტი ელექტროენერგია, ამდენივე სათბობი. შრომის ნაყოფიერება ამაღლებულია 5,6 პროცენტით. ყოველივე ამის შედეგად გადაზიდვის თვითღირებულება შემცირებულ იქნა 4,1 პროცენტით. დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს ამიერკავკასიის რკინიგზელები ხვდებიან საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშით, რომელიც მათ მიენიჭათ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

თვალსაჩინო გამარჯვებებს აღწევენ აგრეთვე საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოები. გადაჭარბებით შესრულდა ცემენტის, აგურის, მარმარილოს, მოსაპირკეთებელი ფილებისა და საშენი ფაიფურის წარმოების სახელმწიფო დავალებანი.

დიდი სამუშაოები მიმდინარეობს თბილისის ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობისათვის. შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები. წელს თბილისში საექსპლოატაციოდ გადაცემულია 30 ათასამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო საშვიდნოემბროდ მშრომელები მიიღებენ 38 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის შენაცვლად სახლებს.

მაგრამ ნიშანდობლივია, ეს იმას, რომ მრეწველობის ბევრ დარგი თანაბარი ინტენსივობით მუშაობს, რომ დღეისათვის არ არის ჩამორჩენილი უბნები? რასაკვირველია, არა. ქვანახშირის მოპოვებისა და ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდა, სამწუხაროდ, დღემდე ჩამორჩება სათბობსა და ელექტროენერგიაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების ზრდას. ამისათვის ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული საქართველოში ენერგეტიკული ბაზის გაზრდისათვის. საჭიროა დაჩქარდეს იმ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, რომლებსაც ახლა ვაშენებთ, და შევუდგეთ იმ ელექტროსადგურების მშენებლობას, რომლებიც გათვალისწინებულია პარტიის XX ყრილობის დირექტივებით. მნიშვნელოვანი ამოცანაა აგრეთვე ქვანახშირის ახალი საბადოს დაჩქარებით შესწავლა, ვინაიდან ამ საბადოს ათვისებით ჩვენ მთლიანად შევძლებთ დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის მოთხოვნილება სათბობზე.

საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების საპატიო ამოცანაა აამაღლონ მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები საბჭოთა კავშირის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მიერ მიღწეულ დონემდე. ეს უწინარეს ყოვლისა, ეხება ჩვენს მეტალურგებს, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს ბრძმედის მარგი მოცულობის სრულად გამოყენებას. იგივე უნდა ითქვას მძიმე და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა დანადგარების წარმადობის ათვისებისა და პროდუქციის გამოშვებაზე შრომითი დანახარჯების შემცირების შესახებ. ამ დარგებში ახალ წარმატებათა მოპოვება დამოკიდებულია ჩვენს მზადყოფნაზე ვიმუშაოთ ახლებურად, თავდადებით ვიბრძოლოთ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების პირველი შედეგები ცხადყოფენ ამ მხრივ მოპოვებულ წარმატებებს, რომლებიც რესპუბლიკის მრეწველობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის უტყუარი საწინდარია.

ნათელია დღევანდელი დღე საბჭოთა საქართველოსი, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ძლევამოსილად მიდის წინ კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ. მაგრამ კიდევ უფრო დიდებული და სხივმოსილია მისი ხვალინდელი დღე.

ქართველი ხალხი, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხი, მრავალი წლის გამოცდილებით მტკიცედ დარწმუნდა იმაში, რომ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას არა აქვთ სხვა მიზანი, გარდა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის, მშრომელთა მატერიალურ და სულიერ ძალთა გაფურჩქნისათვის ზრუნვისა.

საქართველოს მშრომელები ყოველდღიურად გრძნობენ ამ დიდ მზრუნველობას. მეექვსე ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდება საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. მარტო რესპუბლიკის დედაქალაქში—თბილისში მეხუთე ხუთწლედთან შედარებით საექსპლოატაციოდ გადაეცემა ორჯერ მეტი საცხოვრებელი ფართობი. ჩვენი დედაქალაქის ბევრი მშრომელი დიდ ოქტომბერს იდღესასწაულებს ახალ, კეთილმოწყობილ ბინებში. მშრომელთა საჭიროების დაკმაყოფილებისათვის პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა ყარადაღ-თბილისის გაზსადენის, ახალი სკოლების, კინოთეატრების, საავადმყოფოების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და მთელი რიგი სხვა ახალი ობიექტების მშენებლობა. მთავრობის დადგენილების თანახმად ჩვენ უკვე 1959 წლის მე-4 კვარტალში გვექნება სათბობი გაზი.

საქართველოს მშრომელები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამ მზრუნველობას შრომითი საგმირო საქმეებით უპასუხებენ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვის მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის, რათა კიდევ უფრო ძლევამოსილი იყოს ჩვენი ქვეყნის წინსვლა კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ.



რუსთავი. დგან „400“-ის საერთო ხედი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

აი რა მოგვცა ოქტომბერმა

★

არ. დავითაშვილი,
საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი.

★

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობისა და დახმარების შედეგად მკვეთრად შეიცვალა გურჯაანის რაიონისა და მასში შემავალი სოფლების სახე.

ახლა გურჯაანის რაიონი რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავეა თავისი ეკონომიკითა და კულტურით. რაიონის ყველა კოლმეურნეობა მილიონერია.

რაიონის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგი მევენახეობაა. შარშან, არც თუ ისე უხვმოსავლიან წელს, მევენახეობამ კოლმეურნეობებს მისცა 30,5 მილიონი მანეთი შემოსავალი, რაც საერთო შემოსავლის 70 პროცენტია. კოლმეურნეობის ჩამოყალიბებამდე გლეხს ჰექტარზე 40 ცენტნერი ყურძენი რომ მოეყვანა, ეს დიდ მიღწევად ითვლებოდა. მევენახეობაში შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციით და მოწინავე აგროტექნიკის დანერგვით ვენახის მთლიან ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 80 ცენტნერზე მეტი ყურძენი. მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად ყოველწლიურად იზრდით ვენახების ფართობს. ამჟამად რაიონში 5.970 ჰექტარი ვენახებია, აქედან 2.847 ჰექტარი კოლმეურნეობებში. განზრახულია უახლოეს წლებში ვენახების ფართობი ავიყვანოთ 8 ათას ჰექტარამდე. მარტო წელს გავაშენებთ რამდენიმე ასეულ ჰექტარს. საამისოდ მზად გვაქვს ნიადაგი და სარგავი მასალა.

მევენახეობასთან ერთად ფართოდ ვეწევით მემინდვრეობას. წელს რაიონის კოლმეურნეობებმა ხორბლისა და სიმინდის უხვი მოსავალი მოიყვანეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად ფართოდ განვითარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა, მკვეთრად ამაღლდა მისი პროდუქტიულობა. 1953 წელს კოლმეურნეობებში საშუალოდ ერთი საფურაჟე ძროხის წველადობა 331 ლიტრს არ აღემატებოდა, ხოლო წელს 9 თვეში საშუალოდ ერთ ძროხაზე უკვე მიღებულია 1.222 კილოგრამი რძე. კოლმეურნეობები ახლა ერთიორად მეტ ხორცს აწარმოებენ, ვიდრე წინა წლებში.

პარტიის მოწოდებას — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ — რაიონის მშრომელები აქტიურად გამოეხმაურნენ და გაზრდილი ვალდებულებები აიღეს. მუკუზნის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანებამ“ იკისრა 1960 წლისათვის ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე აწარმოოს 128 ცენტნერი რძე, 95 ცენტნერი ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე — 148 ცენტნერი ღორის ხორცი; ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ ვალდებულებაა იმავე პერიოდში ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე ხორცის წარმოება გაადიდოს 41 ცენტნერამდე, ხოლო ღორის ხორცის წარმოება ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე — 200 ცენტნერამდე. ასევე გადიდებული ვალდებულებები იკისრა რაიონის ყველა სხვა კოლმეურნეობამ.

მევენახეობის განვითარებასთან ერთად სწრაფად იზრდება ღვინის წარმოება. ახლა რაიონში გვაქვს 5 ღვინის ქარხანა, რომლებიც წლიურად 113 მილიონი მანეთის პროდუქციას იძლევიან. გურჯაანულმა სამარკო ღვინომ (№ 3) სრულიად საკავშირო კონკურსში უმაღლესი შეფასება მიიღო, ხოლო ღვინო „ახაშენმა“ საერთაშორისო დეგუსტაციაზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ღვინის წარმოების გარდა რაიონში გვაქვს საკონსერვო ქარხანა, რომელიც წელიწადში უშვებს 2,7 მილიონ პირობით ქილა კონსერვს. მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია ამ საწარმოს გაფართოება ისე, რომ მან 1960 წლისათვის წლიურად გამოუშვას 8 მილიონი ქილა კონსერვი. რაიონში ადგილობრივი მრეწველობის ხაზით 20 სახის პროდუქციას ვამზადებთ. ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა აგურ-კრამიტის ქარხანა, რომელიც წელს გამოუშვებს 12 მილიონ ცალ აგურს და ბევრ კრამიტს. რამდენიმე წლის წინათ აგურის ამ რაოდენობის ნახევარიც არ მზადდებოდა, რადგან მაშინ არც კოლმეურნეობებს ჰქონდათ მშენებლობის ფართო შესაძლებლობა და არც კოლმეურნეებს. ახლა კი წელიწადში 12 მილიონი ცალი აგური რაიონის კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს ვეღარ აკმაყოფილებს.

დღეს ძნელად ნახავთ რაიონში ისეთ ოჯახს, რომელიც კეთილმოწყობილ, მრავალოთახიან კაპიტალურ ბინაში არ ცხოვრობდეს. მარტო ამ უკანასკნელ ოთხ წელიწადში 2.200-ზე მეტმა კოლმეურნემ და მოსამსახურემ აიშენა კეთილმოწყობილი სახლი. წარსულს ჩაბარდა ძველი გლეხის გაჭირვებული ცხოვრება. სოფლები ახლა ელექტრობით არის გაჩირაღდნებული, ბინებიდან რადიომიმღებებისა და პიანინოების ხმა ისმის. ოქტომბერმა დაუმკვიდრა გლეხობას საკოლმეურნეო ცხოვრება, ხოლო საკოლმეურნეო ცხოვრებამ მოიტანა ის სიკეთე, რასაც გლეხკაცი დიდიხანია ნატრობდა.

საკოლმეურნეო სოფლების ცვლილებასთან ერთად სახე იცვალა რაიონულმა ცენტრმა გურჯაანმაც. იგი ნამდვილი ქალაქია — ოქტომბრის პირმშო. ბნელი ორღობეებისა და ეკალბარდების ადგილზე ახლა გაყვანილია სწორი ქუჩები, რომლებსაც ლამაზი მრავალსართულიანი შენობები ამკობს. უკანასკნელ ხანს აქ აშენდა შვიდი სახლი, მუშათა ორი სასადილო, მაღაზიის ორი შენობა, ადგილობრივი მრეწველობის მუშათა დიდი საცხოვრებელი სახლი, კულტურის სახლი. ქალაქის ტერიტორიაზე დაგებულია 31.412 კვადრატული მეტრი ასფალტი.

მშენებლობის პროცესშია გურჯაანის ღვინის ქარხნის მუშათა 24-ბინიანი, აგურ-კრამიტის ქარხნის მუშათა 14-ბინიანი საცხოვრებელი სახლები, ასადგილიანი სასტუმრო, შენდება სასპორტო კომბინატი, სადაც მოეწყობა სტადიონი 5 ათასი მაყურებლისათვის, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები, აგრეთვე საცურავი აუზი. დაიწყო აგრეთვე სანაპირო ქუჩის გაყვანა ახტალის ხევის გაყოლებით.

ფართო სამუშაოები მიმდინარეობს ქალაქის გასაამწვანებლად, ბაღებისა და პარკების კეთილმოსაწყობად. ამჟამად შენდება კულტურისა და დასვენების პარკი, რომელსაც 17 ჰექტარი ფართობი უჭირავს. პარკის მშენებლობისათვის სახელმწიფომ 4 მილიონი მანეთი გამოჰყო. მშენებლობაში ფართოდ ვიყენებთ მოსახლეობის შრომითს მონაწილეობას — შაბათობების მოწყობით. პარკში აიგება საზაფხულო კინოთეატრი, ესტრადა, მოეწყობა კარუსელი და ბავშვთა სხვა გასართობები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უმაგალითოდ აყვავდა კულტურა და განათლება. რაიონის ყველა სოფელშია 7-წლიანი ან საშუალო სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა. მოსწავლეთა კომუნისტურ აღზრდას ემსახურება 621 მასწავლებელი.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა. ახლა რაიონში ამ საქმეს ემსახურება 80 ექიმი და საშუალო სამედიცინო პერსონალის 229 კაცი. გვაქვს 7 საავადმყოფო 235 საწოლით, პოლიკლინიკა, ამბულატორიები, საფერშლო-სამეანო პუნქტები, 8 აფთიაქი და სხვა სამკურნალო დაწესებულებები.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი რაიონის მშრომელებს **ყველა პირობა** აქვთ შექმნილი იმისათვის, რომ შემდგომ გააფართოონ საზოგადოებრივი მეურნეობა, იცხოვრონ შეძლებულად და კულტურულად. მშრომელ ხალხს ამის უფლება მიანიჭა დიდმა ოქტომბერმა. ამიტომ არის, რომ რაიონის მშრომელები მტკიცედ არიან დარაზმულნი პარტიის გარშემო და თავდადებულ შრომას ეწევიან იმისათვის, რომ წარმატებით განვახორციელოთ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი.

სამეცნიერო სესიები დიდი ოქტომბრის აღსანიშნავად

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

ამ დღეებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში შედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზეიმო სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისადმი.

შესავალი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი.

მოხსენება თემაზე „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავზე“ გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა-მდივანმა ს. დურმიშიძემ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ჩიქობავა გამოვიდა მოხსენებით: „თანამედროვე ენათმეცნიერების განვითარების ძირითადი ტენდენციები და საბჭოთა ენათმეცნიერება“. მოხსენებით გამოვიდა აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. მახალდიანი. ახალი ლექსი „დაიღოცოს ოქტომბერი“ წაიკითხა პოეტმა აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა.

ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგემ დოცენტმა პ. თავხელიძემ. მოსმენილ იქნა მოხსენებები: „ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისები და მათი ისტორიული მნიშვნელობა“ (დოც. ვ. ქვარცხავა), „საბჭოების II ყრილობა“ (დოც. ს. მოისწრაფიშვილი), „ეროვნული საკითხის გადაწყვეტა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ“ (დოც. შ. ადამია), „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა“ (დოც. ზ. სირაძე), „დიდი ოქტომბერი და სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა“ (ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ჩიქავა), „საქართველოს სსრ მრეწველობა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავზე“ (ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი ქ. დადიანი).

პროდუქტები დღესასწაულისათვის

თბილკოოპავაჭრობის საკომისიო მაღაზიების მეშვეობით რესპუბლიკის რაიონების კოლმეურნეობები და კოლმეურნეები სადღესასწაულოდ ათასობით ტონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს უგზავნიან ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მოსახლეობას.

წინასადღესასწაულო და დღესასწაულის დღეებში ქალაქში ამ სისტემის 33 მაღაზია და პავილიონი გაჰყიდის თბილისის, გარდაბნის, თეთრი წყაროს, საგარეჯოს, გორის, ქარელის, კასპის, მცხეთის, ბოლნისის, სიღნაღის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, დუშეთის, თიანეთის, ახმეტისა და სხვა რაიონებიდან შემოტანილ დიდი რაოდენობის პროდუქტებს, ხილს.

ამ დღეებში გაიყიდება დიდძალი ხორცი, ცოცხალი, დაკლული და შემწვარი გოჭები, ინდაურები, ქათმები, ძეხვეული, ყველი, სულგუნი, რომელსაც შემოზიდავენ ზუგდიდის, ცხაკაიას, გეგეჭკორის და ხობის რაიონების კოლმეურნეობები და კოლმეურნეები, ხილი — ვაშლი და მსხალი, 150 ტონაზე მეტი ბოსტნეული, 170 ტონა კარტოფილი, 25 ტონა ლობიო, თაფლი, დიდძალი სიმინდის ფქვილი, კიტრის, კომბოსტოს და პომიდორის წნილი, ჩურჩხელა, თხილი, ციტრუსები და ა. შ.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

საქართველოს პავილიონი ამ დღეებში

მოსკოველებმა უკვე იგემეს შემოდგომის ცივი დღეები და ღამეები. ნიადაგი დააზრო პირველმა ყინვებმა. წლის ეს დრო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენებზეც იგრძნობა. ფოთლები დასცვივდა ხეებსა და ბუჩქებს, გაუფერულდნენ ყვავილები.

ღია გრუნტიდან დახურულში გადაიტანეს სითბოსმოყვარული მცენარეები. ააშენეს სპეციალური დათბუნებული სარდაფი ფინიკის პალმისათვის, რომელიც საქართველოს სსრ პავილიონის შესასვლელს ამშვენებდა. თბილი გამოზამთრებით უზრუნველყოფილი არიან აგრეთვე ღია გრუნტიდან პავილიონის ორანჟერიაში გადარგული პატარა ბამბუკის ხეები, პალმები, ევკალიპტები, მუშმულა, დაფნა... ათბუნებენ აგრეთვე ჩაის პლანტაციას, რომელშიც ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გამოიზამთრებენ ბამბუკის მაღალი ხეები. ზამთრისათვის ამზადებენ ვენახსა და ხეხილის ბაღს.

საკმარისია მხოლოდ ერთხელ გაიაროთ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონში, რომ წარმოდგენა მოგეცეთ ყველა იმ ცვლილებაზე, რაც აქ ბარაქიანმა შემოდგომამ და ზამთრის მოახლოებამ მოიტანა. დაუკვირდით ამ სურათს, რომელიც საკადესის ფოტოქრონიკის ფოტოკორესპონდენტმა ვ. გაგანოვმა გადაიღო საქართველოს პავილიონში. რა არ არის პავილიონის ცენტრალურ სტენდზე! მადლიერმა მიწამ უხვად დააჯილდოვა რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელთა თავდადებული შრომა.

...საერთო-სახალხო დღესასწაულის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის მთელ გამოფენასთან ერთად აქტიურად ემზადება ჩვენი რესპუბლიკის პავილიონი. შორიდანვე იპყრობს მნახველთა ყურადღებას ციფრები: 1917-1957. დიდი ლენინის ბარელიეფის ორივე მხარეს სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშებია.

ურიცხვი მასალა (ციფრები, დიაგრამები, სტენდები და მრავალი სხვა) მნახველებს აცნობს საქართველოს მშრომელთა მიერ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოპოვებულ დიდ მიღწევებს.

გამოფენის მუშაობის სეზონი დასასრულს უახლოვდება. მნახველები კი მოდიან და მოდიან პავილიონში. აქ ისინი იცნობიან ყველაფერს, რაც კი დაკავშირებულია საქართველოს მშრომელთა სახელოვან შრომასა და ბედნიერ ცხოვრებასთან.

ს. რიჟინაშვილი,
„კომუნისტის“ კორ.

მექანიზატორებმა პირობა შეასრულეს

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ენერგიულად იშრომეს ბოლნისის მტს-ის (დირექტორი ა. გრიგოლია) მექანიზატორებმა. მათ დადებული პირობა 31 ოქტომბერს გაანაღდეს. წლიური გეგმით გათვალისწინებული 27.000 ჰექტარის ნაცვლად ბილ ხვნაზე გადაყვანით დაამუშავეს 27.270 ჰექტარი მიწა. ამასთან ერთად დაზოგეს 10.000 კილოგრამი საწვავი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელა მეორე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ა. ბეჟანიშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ დაამუშავა 3.900 ჰექტარი მიწა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.000 ჰექტარისა. დაზოგა 2.500 კილოგრამი საწვავი. მეხუთე სატრაქტორო ბრიგადას (ხელმძღვანელი მ. ბაირამოვი) უნდა დაემუშავებინა 1.500 ჰექტარი, დაამუშავა 2.506 ჰექტარი და დაზოგა 3.500 კილოგრამი საწვავი.

შეჯიბრებაში გაიმარჯვა აგრეთვე მეექვსე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ი. ციმაკურიძე ხელმძღვანელობს.

მახარაძის რაიონის სახელობის კოლმეურნეობა გენიჩესკში

მახარაძე. (საკ. კორ.). ყოველდღიურად მტკიცდება და ვითარდება უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონისა და მახარაძის რაიონის მშრომელთა მეგობრობა. ამ დღეებში მახარაძეში მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ გენიჩესკის რაიონის ერთ-ერთ მძლავრ სასოფლო-სამეურნეო არტელს — ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას ამიერიდან მიეკუთვნა მახარაძის რაიონის სახელი. აღნიშნული კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობასთან.

— გულით გვიხარია, რომ მახარაძის რაიონის სახელს ატარებს უკრაინის ის კოლმეურნეობა, რომელიც ჩვენს კოლმეურნეობას ეჯიბრება, — განაცხადა ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ს. მუხაშავრიამ, — ძიმითელი კოლმეურნეები კიდევ უფრო ენერგიულად იმუშავებენ სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის.

მონუმენტური სპექტაკლი

★

„რიჩარდ III“ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე

★

დღეს, როცა დასავლეთში აღებულია კურსი შექსპირის შემოქმედების ფორმალურ-შინაარსობრივ გაყალბებაზე, ეპოქალური დრამატურგის უკვდავი შემოქმედების აბსტრაქტულ-ფორმალისტურ ინტერპრეტაციაზე, საბჭოთა თეატრი მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვის ჭეშმარიტი და შეურყვნელი შექსპირისათვის.

შექსპირის მართებული გაგებისათვის ბრძოლაში ქართულ თეატრალურ ხელოვნებას უაღრესად მდიდარი ტრადიციები მოეპოვება. ამიტომ სავსებით ბუნებრივია ის ინტერესი, რომელსაც იწვევს შექსპირის შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე რთული და ორმაზროვანი ქმნილების — „რიჩარდ III“ დადგმა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე.

„რიჩარდ III“ — დიდი იდეური ფართოდობის, ფართო შინაარსობრივ-ფილოლოგიური განზოგადების და ფორმა სოციალური პრობლემატიკით აღსავსე მხატვრული ნაწარმოები. ეს პოლიტიკური ტრაგედია მისი ავტორის უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ კონფლიქტებს ასახავს და დიდი მხატვრული შთამბეჭდაობით ცხადყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ ხალხის ტანჯვასა და ექსპლოატაციაზე, სისხლსა და ძალადატანებაზე დაყრდნობილი სისტემა აუცილებლად დაირღვევა. ამ ტრაგედიაში სოციალ-ისტორიული მოტივი მჭიდროდ უკავშირდება ეთიკურ პრობლემას; ამიტომაც პიესის ერთ-ერთი ცენტრალური მოქმედი პირი ადამიანის ბედზე აღძრული სინდისია. უსაშინელესი ბოროტების მხილებასთან ერთად, პიესაში მოცემულია მტკიცე რწმენა ცხოვრების კეთილი და ნათელი საწყისის გარდუვალი გამარჯვებისა. ამ ნაწარმოებში მკაფიოდ მოჩანს შექსპირის დიდი ჰუმანიზმი და ღრმა ხალხურობა — ეს ჭეშმარიტი საფუძველი ამ გენიალური ქმნილებების ზოგადადამბრიულობისა. ამიტომ არის, რომ „რიჩარდ III“ ლეიტმოტივს კარგად ასახავს რუსთაველის უკვდავი ხიტყვები: „ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია!“ სწორედ ამგვარი ოპტიმისტური რწმენის რელიეფური ჩვენება დაისახა თეატრმა ამ საპასუხისმგებლო დადგმის ზეამოცანად.

სპექტაკლი დადგა რესპუბლიკის ერთ-ერთმა წამყვანმა რეჟისორმა ვასო ყუშიტაშვილმა. დამდგმელმა სწორად გაიაზრა შექსპირის ეს ურთულესი ნაწარმოები და შექმნა დიდი მხატვრული ექსპრესიითა და მაღალი კულტურით აღბეჭდილი სპექტაკლი. ვ. ყუშიტაშვილის როგორც ადრინდელი საუკეთესო დადგმების, ისე ამ ნამუშევრისთვისაც დამახასიათებელია სოციალური შინაარსის რელიეფური ჩვენება, ხასიათებისა და სიტუაციების ღრმად გახსნის უნარი, იდეის ნათელი გამოვლენისა და ქვეტექსტის წინწამოწევისაკენ სწრაფვა. დამდგმელისათვის უარყოფითის მხილება თვითმიზანი და მაყურებლის გრძნობაზე ჭარბი ზემოქმედების საშუალება კი არ არის, არამედ გარშემოვლითი ხერხი დადებითის დასამკვიდრებლად. დადგმა გემოვნებით არის შესრულებული. დეტალები მოხაზულია ძუნწი შტრიხებით, სადად და ლაკონიურად. კეთილშობილი თავდაჭერილობა მოჩანს რეჟისორული გაგებისა და მხატვრული გაფორმების ყოველ ფრაგმენტში.

„რიჩარდ III“ ტექსტის მოცულობით ორი ნორმალური პიესის ოდენაა. ამიტომ პიესის მონტაჟი დადგმის აუცილებელი და მეტად მნიშვნელოვანი მხარეა. ვ. ყუშიტაშვილმა ამ მხრივ დიდი და საყურადღებო მუშაობა გასწია.

აი, ამის ორიოდე მაგალითიც. პირველი სურათი დამდგმელმა ქუჩიდან ეკლესიაში გადაიტანა. ხალხის თავმოყრით, მხატვრული გაფორმებით, მუსიკით მან ამ სცენას უფრო მაღალი რეზონანსი მისცა და შექმნა ხელსაყრელი ფონი და განწყობა ვნებების დიდი ორომტრიალისათვის, მჩქეფარე ტემპერამენტის უფრო ბუნებრივი გამოვლინებისათვის. ამ სცენით სპექტაკლი თავიდანვე შედის მაღალი დრამატიზმის კალაპოტში, თავიდანვე ნახულობს შესაფერ სცენიურ ფორმას და ბოლომდე ამ გზით მიედინება. კლარენსთან რიჩარდის შეხვედრის სცენა, რითაც იწყება შექსპირის პიესა, რეჟისორმა მეორე სურათად აქცია. ამით მან რიჩარდის ბოროტების ჩვენებაში გრადაციას მიაღწია.

ნაწარმოებში ღრმად ჩაწვდომის, ტექსტის ორგანულად ათვისების შედეგად დამდგმელმა მიაღწია მრავალი სხვა სიტუაციის უფრო მიზანშეწონილ, ახლებურ გააზრებასაც (სცენები იორკის მთავრის ქვრივთან; დიდებულთა შერიგების ჩაშლა რიჩარდის მიერ; ჰასტინგსისათვის შარის მოდების და შემდეგ მისი დატირების სცენა; რიჩარდის ფარისევლური ღვთისმსახურების და, განსაკუთრებით, მოქალაქეთა იძულებითი მიმხრობის ეპიზოდები). სპექტაკლში მრავლად არის მშვენივრად გააზრებული მიზანსცენა, რომელიც გამოირჩევა იდეური გამოკვეთილობითა და მხატვრული ექსპრესიით.

მაგრამ, სამწუხაროდ, სპექტაკლში ჩინებულ სცენებთან ერთად არის სუსტი სურათებიც. მაგალითად, ვერ არის სათანადოდ გაზრებული რიჩარდისა და რიჩმონდის სცენები სამხედრო კარვებში, განსაკუთრებით ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს რიჩარდის სულიერი ქენჯნისა და სულთა გამოცხადების ფრაგმენტი. არასწორად არის გააზრებული ფინალური სცენაც, სადაც რიჩარდს უნდა ჰკლავდეს არა სტენლი, არამედ რიჩმონდი (როგორც სიმბოლო ბოროტების დათრგუნვისა და უფრო მაღალი იდეალების გამარჯვებისა). აუცილებელია რიჩარდის გმირული სულის მეტი ხაზგასმაც და მასობრივი სცენების მეტი დახვეწა-გაძლიერება.

დამდგმელი კოლექტივიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მხატვარ ი. სუმბათაშვილის ნამუშევარი. „რიჩარდ III“ მხატვრული გაფორმება ქართული თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების სასიხარულო მოღწევაა. ი. სუმბათაშვილმა უფლებაში აღადგინა ის აუცილებელი პირობითობა სცენის მხატვრულ გაფორმებაში, რომელიც რეალიზმის ცალმხრივი გაგების შედეგად თითქმის სრულიად განიდევნა და რომლის უგულებელყოფამ სცენაზე ნატურალიზმის გამეფებამდე მიგვიყვანა.

ი. სუმბათაშვილის გაფორმება არა მარტო დიდი ოსტატობით წარმოსახავს გარკვეული ისტორიული ეპოქის შთამბეჭდავ კოლორიტს, საჭირო ეროვნული და სოციალური ლოკალით, არამედ ქმნის სცენიური მოქმედებისათვის აუცილებელ სივრცესაც, ისე რომ არ შთანთქამს და არც ბოჭავს მსახიობს. ი. სუმბათაშვილის მიერ გაფორმებული ყველა სცენა და დეტალი აღბეჭდილია მაღალი გემოვნებითა და დიდი მხატვრული ნიჭიერებით.

სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებაზე, რომლის პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩება.

აქტიორული შესრულების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რიჩარდის სახე, შექმნილი თანამედროვე ქართული თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის ვასო გოძიაშვილის მიერ. ეს სახე პიესის ხერხემალია, და მას უდიდესი იდეურ-მხატვრული დატვირთვა აკისრია. რიჩარდის ტიტანური ნებისყოფა, გმირული სული, საშინელი ვერაგობა და საოცარი ფლიდობა შემსრულებლისაგან დიდ შემოქმედებითს ცეცხლს, დახვეწილ ოსტატობას, მხატვრულ ტაქტს და მდიდარ ფანტაზიას მოითხოვს. ეს ისეთი როლია, რომ მასში მთლიანად „ჩაჯდომას“ თვით ნაცადი ოსტატებიც კი მხოლოდ წლების შემდეგ ახერხებენ; ამიტომ იყო, რომ პირველ სპექტაკლებში ვ. გოძიაშვილის თამაში ჩამორჩებოდა მისსავე პოტენციურ შესაძლებლობას. დღეს კი გოძიაშვილის რიჩარდი გამოიკვეთა, აქტიორის შესრულების მანერა დადგინდა, თამაში დაიხვეწა. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ გოძიაშვილის აქტიორული შესრულებით ქართულ სცენაზე ჩამოყალიბდა რიჩარდის ღრმად გააზრებული, მაღალოსტატური სახე. რიჩარდის სცენიური ინტერპრეტაციის ზოგიერთი მხარე შესაძლოა საკამათოც იყოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უდავოა, რომ გოძიაშვილის მიერ ჩამოქმნილი სცენიური ხასიათი აღბეჭდილია დიდი ნიჭიერებით და მაღალი პროფესიული ოსტატობით.

ქალთა როლებიდან სპექტაკლში პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რიჩარდის დედის სახე, შექმნილი დიდი და გულმართალი ხელოვანის ს. თაყაიშვილის მიერ. მსახიობმა ეს კოლორიტული ხასიათი შესანიშნავი ოსტატობით ჩამოძერწა და ნამდვილ მხატვრულ სრულყოფამდე აიყვანა. ს. თაყაიშვილის შთამბეჭდავი, დიდი ემოციების აღმძვრელი და ამავე დროს უაღრესად სადა, საოცრად გულწრფელი განსახიერების წყალობით ეს როლი მაღალ ტრაგიკულ ეღერადობას იძენს და ჭეშმარიტად შექსპირულ სახედ გვევლინება.

ძნელი ამოცანა ხვდა წილად ელისაბედ დედოფლის საპასუხისმგებლო როლის შემსრულებელს ნ. აფაქიძეს, რომელმაც ძირითადად სწორად გაიაზრა ეს რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათი. აფაქიძის თამაშში იგრძნობა ტემპერამენტიც და ტრაგიკული განცდის გულწრფელად გადმოცემის უნარიც.

ლედი ანას როლს სამი შემსრულებელი ჰყავს: მ. ჯაფარიძე, მ. თბილელი და დ. ჭიჭინაძე. რამდენადაც სამივე მსახიობი უმთავრესად ერთსა და იგივე მონახაზს მისდევს, ამიტომ, ინდივიდუალურ აქტიორულ თავისებუ-

(დასასრული მე-4 გვერდზე)



სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „რიჩარდ მესამე“. რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი რიჩარდის როლში.
ფოტო დ. დავიდოვისა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესია

დამთავრდა სირიის საჩივრის განხილვა

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე დამთავრდა სირიის იმ საჩივრის განხილვა, რომ საფრთხე ემუქრება მის უშიშროებასა და საერთაშორისო მშვიდობას. დღევანდელი სხდომა ფაქტიურად მხოლოდ ფორმალური იყო, რამდენადაც ჯერ კიდევ გუშინ ასამბლეის კულუარებში მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ არც ერთი მხარე არ მოითხოვს შეტანილი რეზოლუციების მიღებას.

დღევანდელ სხდომაზე პირველი გამოვიდა ინდონეზიის წარმომადგენელი სასტროამიჯოიო. მან კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ გენერალურმა ასამბლეამ განიხილა სირიის საჩივარი და ამით იკისრა პასუხისმგებლობა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. მან მოუწოდა თურქეთსა და სირიას მოაწესრიგონ თავიანთი ურთიერთობა ბანდუნგის კონფერენციის პრინციპების სულისკვეთებით, რომლის მონაწილეც იყო ორივე ქვეყანა. მან მოუწოდა აგრეთვე ორი რეზოლუციის პროექტის ავტორებს არ მოითხოვონ ამ პროექტების კენჭისყრა.

ნორვეგიის დელეგატმა, იმ რეზოლუციის ერთ-ერთმა თანაავტორმა, რომელიც შეიცავდა წინადადებას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დაჰკისრებოდა შუამავლის როლი, განაცხადა: კიდევაც რომ არ იქნეს ეს რეზოლუცია, გენერალურ მდივანს წესდების მიხედვით სრული უფლება აქვს ხელი შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს მოაწესრიგონ თავიანთი დავა და ამიტომ რეზოლუციის თანაავტორები არ მოითხოვენ კენჭისყრას, უკეთუ სირია ასევე მოიქცევა თავისი რეზოლუციის პროექტის მიმართ.

სირიის დელეგატმა ბითარმა თქვა, რომ სირია-თურქეთის საზღვარზე არსებული მდგომარეობის გამოკვლევისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის შექმნა სერიოზულ სიძნელეებს წააწყდა, რამდენადაც ამ კომისიას სარგებლობის მოტანა შეეძლო მხოლოდ ორივე მხარის თანხმობისა და თანამშრომლობის პირობებში. სირია, დასძინა მან მზად არის დათანხმოს სასტროამიჯოიოს წინადადებას, მით უფრო, რომ ამ წინადადებას აკეთებს აზიის ქვეყნის ესოდენ თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელიც თავმჯდომარეობდა ბანდუნგის კონფერენციას. სირია არ მოითხოვს, რომ კენჭი ეყაროს მის რეზოლუციას, თუ მისი თხოვნით დასმული საკითხი დარჩება გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში და თურქეთი თავის ჯარებს წაიყვანს სირიის საზღვრიდან და ამით მოსპობს მიზეზს, რომელმაც სირიის საჩივარი გამოიწვია.

თურქეთის წარმომადგენელიც დათანხმა ინდონეზიის დელეგატის იმ წინადადებას, რომ არ მოითხოვოს რეზოლუციების პროექტების კენჭისყრა, თუმცა ამასთანავე უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საკითხი დატოვებულია ასამბლეის დღის წესრიგში.

ამრიგად, ორივე მხარის თანხმობით ასამბლეას არ მიუღია რაიმე გადაწყვეტილება სირიის საჩივრის შესახებ. მაგრამ სირიის უშიშროებისა და საერთაშორისო მშვიდობისათვის საფრთხის საკითხი რჩება გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში.

სირიის წინააღმდეგ აგრესია მიჩნეულ იქნება არაბთა ყველა ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიად

კაირო, 31 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს არაბთა ქვეყნების ლიგამ, რომლის სესია ამჟამად კაიროში მიმდინარეობს, ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მხარს უჭერს სირიის მის ბრძოლაში დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ არაბთა ყველა სახელმწიფო გმობს ბრალდებებს, ზეგავლენასა და მუქარას სირიის მიმართ, აგრეთვე ცდებს ჩაერიონ მის საშინაო საქმეებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპებისა და მისი წესდების დარღვევით.

როგორც რეზოლუციაშია აღნიშნული, არაბთა სახელმწიფოები გადაჭრით გმობენ ჯარების თავმოყრას სირიის საზღვრებზე და ადასტურებენ სირიის ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის სრულ უფლებას.

არაბთა სახელმწიფოები სირიას უცხადებენ სოლიდარობას და ადასტურებენ, რომ მის მხარეზე არიან. რაიმე აგრესია სირიის წინააღმდეგ მიჩნეულ იქნება როგორც აგრესია არაბთა ყველა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ისინი ერთად იმოქმედებენ, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ამ აგრესიას თავიანთ ვალდებულებათა შესაბამისად, რომლებიც ჩამოყალიბებულია არაბთა ქვეყნების ლიგის წესდებასა და ამ ქვეყნების კოლექტიური უშიშროების პაქტში.

საბჭომ გადაწყვიტა ეს რეზოლუცია გაუგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანსა და გენერალური ასამბლეის სესიის თავმჯდომარეს ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის შემდგომი გავრცელებისათვის.

დაღუპული საბჭოთა მოქალაქეების ძეგლი ლუქსემბურგში

ბრიუსელი, 1 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ქალაქ ეშიფერ-ალზეტში (ლუქსემბურგი) საქალაქო სასაფლაოზე ოფიციალურად გაიხსნა იმ საბჭოთა მოქალაქეების ძეგლი, რომლებიც ლუქსემბურგის ტერიტორიაზე დაღუპნენ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

ძეგლის გახსნას, რომელიც იიგო ლუქსემბურგელი პატრიოტების ინიციატივით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ქალაქის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით, დაესწრო საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი და ოფიციალური პირი, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი კოლინგი, ლუქსემბურგის ყოფილი დესპანი სსრ კავშირში რენე ბლუმი და სხვები. დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის დესპანი ლუქსემბურგში ი. ა. მელნიკი, საბჭოთა მისიის თანამშრომლები და მათი ოჯახების წევრები.

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა კოლინგმა ძეგლის გახსნისას წარმოთქმულ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაღუპულმა საბჭოთა მოქალაქეებმა „თავიანთი წვლილი შეტანეს ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების საქმეში“; „საბჭოთა ადამიანების სიმტკიცე და მამაცობა, — განაცხადა მან, — ჩვენს აღტაცებას იწვევს“.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის დესპანმა ი. ა. მელნიკმა.

ძეგლი მრავალი გვირგვინით შეამკეს.

მონუმენტური სპექტაკლი

(დასასრული)

რეგბათა მიუხედავად, რაიმე პრინციპული განსხვავება ხასიათის მათებურ ინტერპრეტაციაში არ შეიმჩნევა. თითეული შემოქმედებითი ამოცანა ლედი ანას შემსრულებელთა მიერ ძირითადად დაძლეულია. ამ მსახიობთა მიერ შექმნილი სცენიური სახე აღბეჭდილია ნატიფი პლასტიკით, განცდის გულწრფელი გადმოცემით და მიმზიდველი ქალურობით. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობა ელისაბედ დედოფლის და ლედი ანას სახეების სრულყოფა-დახვეწაზე კვლავაც უნდა გაგრძელდეს, ეს სახეები სცენიურად უფრო დასრულებული, მკვეთრი და ექსპრესიული უნდა გახდნენ. კიდევ უფრო მეტად სჭირდება სცენიური განსახიერების სრულყოფა მარგარიტა დედოფლის როლის შემსრულებელს ე. ვაჩნაძეს. მარგარიტას როლი მონტაჟის მხრივაც გადასახედია.

შექსპირისეული სიტუაციის ნაკლებ დასაბუთებული შეცვლა უძნელებს თამაშა ედვარდის როლის შემსრულებელ გ. ტატიშვილსაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახე მას სწორად აქვს გააზრებული.

ბუკინგამის სახის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად არის შესაძლებელი. კ. დაუშვილმა მკაცრი თავდაჭერილობითა და შინაგანი ზომიერებით განახორციელა ეს გაშიშვლებული ეგოისტი და შექმნა ცბიერი ფეოდალის მართალი, დამაჯერებელი სახე. მსახიობი ერთგულია ერთხელ აღებული ტონისა და თანმიმდევრულად ხსნის ხასიათს.

შთამბეჭდავად და ექსპრესიულად განსახიერა კლარენსის როლი ტ. ხაყვარელიძემ. აქტიორის ღრმა განცდინა და სცენიური გამომეტყველების წყალობით იგი სპექტაკლის ერთ-ერთი დამამახსოვრებელი სახეა. ჩინებულად ასრულებს გ. შავგულიძე ლორდ პასტინგსის შედარებით მოკლე, მაგრამ მეტად მრავალმეტყველსა და ეპოქისათვის ნიშნეულ როლს. კოლორიტულნი არიან ვ. ნინუა და ოქროსცვარიძე მკვლელების როლში. მათ მიერ შექმნილი სახეების განვითარება სწორად არის წარმართული, მაგრამ აუცილებელია ალაგ-ალაგ თავდაზღვევა ერთგვარი გადაჭარბებისაგან.

სპექტაკლში ნაცადი ოსტატების მხარდამხარ გამოდიან ნიჭიერი ახალგაზრდა ძალებიც, რომელთა მიერ შექმნილია რამდენიმე ცოცხალი, უშუალო, სიმართლითა და სცენიური მომხიბვლელობით აღსავსე სახე. ასეთია ეელსის პრინცი მ. თაბუკაშვილისა და ნ. მგალობლიშვილის შესრულებით, ასეთია ლ. ანთაძის მიერ განსახიერებული პატარა იორკი, ასეთია რადკლიფისა და ლეიველის სახეები თ. არჩვაძისა და ო. მეღვინეთუხუცესის შესრულებით.

სპექტაკლის საერთო წარმატებას ხელს უწყობენ დანარჩენი შემსრულებლებიც ი. ტრიპოლსკი (რიჩმონდი), მ. სულთანიშვილი (ეპისკოპოსი), დ. ქუთათელაძე (სტენლი), მ. მგელაძე, ვ. ჯახუტაშვილი, ე. ყიფშიძე, ა. კობალაძე, შ. ქოჩორაძე და სხვანი. ზემოთქმული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სპექტაკლის აქტიორული შესრულება უნაკლოა. ამ მხრივ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მსახიობთა მეტყველებას, დიქციას.

ცალკეული ნაკლოვანებების მიუხედავად, მთლიანად სპექტაკლი დიდი გემოვნებით, საქმის ცოდნით და სიყვარულით შექმნილი მონუმენტური სცენიური ნაწარმოებია, რაც არა მარტო მარჯანიშვილის თეატრის მიღწევაა, არამედ ფრიად საყურადღებო და ღირსშესანიშნავი მოვლენა თანამედროვე ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში.

გიორგი ციციშვილი.

დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

ჩინეთი

პეკინი, 1 ნოემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ შანხაიში გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი მასობრივი მიტინგი, რომელსაც 7 ათასზე მეტი კაცი დაესწრო.

შანხაის პროფკავშირთა ფედერაციის თავმჯდომარემ ჯუნ მინმა შანხაის მილიონნახევარი მუშის სახელით მხურვალედ მიულოცა საბჭოთა ხალხსა და საბჭოთა მუშებს დიდი დღესასწაული. თავის სიტყვაში მან აღნიშნა, რომ ჩინეთის რევოლუციამ გაიმარჯვა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობისა და დიდი ოქტომბრის გავლენის მეოხებით. საბჭოთა კავშირი, თქვა მან, ჩვენს ქვეყანას უწევდა და უწევს დიდ დახმარებას სოციალისტურ მშენებლობაში. ჯუნ მინმა მოუწოდა შანხაელ მუშებს ისწავლონ საბჭოთა მუშებისაგან კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი და შეისწავლონ საბჭოთა კავშირის მოწინავე გამოცდილება მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 1 ნოემბერი. (საკდესი). მიშოლოცის უნივერსიტეტში მოეწყო სამეცნიერო სესია დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად. სესიაზე პროფესორებმა და მეცნიერმა თანამშრომლებმა გააკეთეს 26 მოხსენება ქვანახშირის, მეტალურგიის, მანქანათმშენებელ მრეწველობაში და მრეწველობის სხვა დარგებში საბჭოთა კავშირის მეცნიერთა ახალი მიღწევების შესახებ. სამეცნიერო სესიები და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად მოეწყობა აგრეთვე ბუდაპეშტის ლორანდ ეტვეშის სახელობის ინსტიტუტში, პოლიტეკონომიის ინსტიტუტში და უნგრეთის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ბუდაპეშტის სამეცნიერო და საბუნებისმეტყველო ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაიწყო ლექციების სერია „საბჭოთა კავშირის 40 წელი“. სერიაში შედის ლექციები საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკის, საბჭოთა მეცნიერების, კულტურისა და ლიტერატურის შესახებ.

საფრანგეთი

პარიზი, 1 ნოემბერი (საკდესი). საფრანგეთში კომუნისტური პარტიის ინიციატივით იმართება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი მშრომელთა საზეიმო მიტინგები და კრებები.

ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა დიდი ოქტომბრის სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად სენ-ნაზერში. შეკრებილნი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ჟაკ დიუკლოს გამოსვლას. დიუკლომ ილაპარაკა იმაზე, თუ რა შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა საბჭოთა კავშირმა თავისი არსებობის 40 წლის განმავლობაში. მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ორი რეზოლუცია. ერთ მათგანს, რომელიც შეიცავს მისალმებებს საბჭოთა კავშირისადმი დიდი დღესასწაულის გამო, რამდენიმე დღეში გადასცემს ჟაკ დიუკლო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

მეორე რეზოლუციაში სენ-ნაზერის მოსახლეობა გამოთქვამს მხურვალე სურვილს, რომ საფრანგეთმა შეცვალოს ახლანდელი პოლიტიკური კურსი, და იწონებს მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობის პოლიტიკას, რომელსაც კომპარტია ახორციელებს.

იუგოსლავიის დელეგაცია ოქტომბრის მე-40 წლისთავის დღესასწაულზე

ბელგრადი, 1 ნოემბერი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის მიწვევით ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულზე მოსკოვს გაემგზავრება იუგოსლავიის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან: იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე ედვარდ კარდელი; იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე რანკოვიჩი; იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, მაკედონიის სახალხო კრების თავმჯდომარე ლაზარე კოლიშევსკი; იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი ველკო ვლახოვიჩი; იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კომუნისტთა კავშირის ორგანიზაციულ საკითხთა მდივანი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი უგლეშ დანილოვიჩი; იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი, იუგოსლავიის ელჩი მოსკოვში ველკო მიჩუნოვიჩი.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 1 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ თემთა პალატაში ლეიბორისტი ემრის ჰიუზი შეეკითხა პრემიერ-მინისტრ მაკმილანს, განიხილა თუ არა მან პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან ერთად ინგლისში ამერიკის ბაზების ლიკვიდაციის სასურველობის საკითხი.

როგორც ცნობილია, ინგლისის საზოგადოებრიობის ფართო წრეები დიდი ხანია მოითხოვენ ამ ბაზების ლიკვიდაციას და ინგლისის ტერიტორიიდან ამერიკის ჯარების გაყვანას.

მაგრამ, როგორც მაკმილანის პასუხიდან ჩანს, ინგლისის მთავრობა სრულიადაც არ აპირებს ამერიკის ბაზების ლიკვიდაციას. მაკმილანმა მათი განლაგება ინგლისში გაამართლა იმით, რომ ეს ინგლისის წვლილია დასავლეთის „კოლექტიურ თავდაცვაში“, იგი აგრეთვე ამტკიცებდა, თითქოს ეს ბაზები საჭიროა თვით ინგლისის თავდაცვისათვის.

უპასუხა რა მეორე კითხვაზე, მაკმილანმა კვლავ პროპაგანდა გაუწია ყბადაღებულ „შეკავების პოლიტიკას“, რომლითაც დასავლეთის სახელმწიფოები ცდილობენ გაამართლონ ატომგულის იარაღის გამალებული წარმოება.

თურქეთის ჯარების ახალი პროვოკაცია სირიის საზღვარზე

დამასკი, 1 ნოემბერი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, გუშინ საღამოს სირია-თურქეთის საზღვრის რაიონში თურქეთის მხრივ სროლა აუტეხეს სირიის სოფელ ალ-კუნეიტრას. სოფელში სირიის ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფის მოსვლის შემდეგ თურქებმა სროლა გააძლიერეს.

ეხება რა თურქეთის ჯარების ამ ახალ პროვოკაციას, გაზეთი „არ-რაი ალ-ამი“ აღნიშნავს, რომ აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის ჯარების ძახვრებმა თურქეთის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე სირიის საზღვრების ახლოს გამოიწვია სირიის წინააღმდეგ პროვოკაციული აქტების ახალი სერია. მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, სირიელი ხალხი მზად არის ყოველგვარი მოულოდნელობისათვის.

საოქტომბრო მისალოცი დეპეშები

წინასადღესასწაულო დღეებში დიდი გაცხოველებაა ცენტრალურ ტელეგრაფში, თბილისის ფოსტამტში და ქალაქის კავშირგაბმულობის მრავალრიცხოვან განყოფილებებში. ათასობით ადამიანები წინასწარ აბარებენ დეპეშებს, რომლებითაც თავიანთ მახლობლებსა და ნაცნობ-მეგობრებს მხურვალედ ულოცავენ დიად დღესასწაულს — ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავს.

წელს განსაკუთრებით ადრე დაიწყო მისალოცი დეპეშების მიღება. დღეისათვის უკვე მიღებული და გაგზავნილია ასეულ ათასობით მისალოცი დეპეშა, რომლებიც ადრესატებს ჩაბარდება დანიშნულ ვადაზე 6 ან 7 ნოემბერს. ბევრს სადღესასწაულო მისალოცი დეპეშა მიუვა მხატვრულად გაფორმებულ ბლანკებზე.

მშრომელთა უკეთ მომსახურების მიზნით ოქტომბრის დღეებში დამატებითი ხაზები გახსნილია ლენინგრადთან, სვერდლოვსკთან, კიევთან, მინსკთან და მთელ რიგ სხვა ქალაქებთან. ბევრი მისალოცი დეპეშა იგზავნება საზღვარგარეთ, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, აგრეთვე კაპიტალისტურ ქვეყნებშიც.

მოქალაქეები მისალოც დეპეშებს გზავნიან ფოტოტელეგრაფითაც. ფოტოტელეგრაფით შეიძლება აგრეთვე სურათების გაგზავნა, მათ შორის მხატვრულად გაფორმებული სპეციალური ბლანკებით. ასეთი დეპეშები მიდის ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის დედაქალაქებში, აგრეთვე საოლქო ცენტრებში.

ამ წინასადღესასწაულო დღეებში მონდომებით მუშაობენ ტელეგრაფისტები. ბევრი მათგანი დგას საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ვახტზე და გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო გეგმებს. ტელეგრაფისტები ე. დარასელია, ა. ბოგდანოვა, რ. კარამოვა, ა. ქრისტესაშვილი და სხვები 150-170 პროცენტით ასრულებენ დავალებებს.

სურათებზე: მისალოცი დეპეშების მხატვრულად გაფორმებული ბლანკების ნიმუშები.

ფინელი ფეხბურთელები თბილისში

გუშინ ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა ქ. ტურკუს (ფინეთი) ფეხბურთელთა კოლექტივი. სტუმრებს რკინიგზის სადგურზე შეხვდნენ ფიზკულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ფეხბურთელები. ფინელ ფეხბურთელებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ, საპასუხო სიტყვით გამოვიდა „ტურკუს“ ფეხბურთის კლუბის პრეზიდენტი ხ. აალტო. თბილისის საოლქო სასპორტო კლუბის სპორტსმენებმა სტუმრებს თაიგულები უძღვნეს.

გუშინ ფინელებმა მოაწყეს პირველი წვრთნა, დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესახედავი ადგილები.

4 ნოემბერს ქ. ტურკუს გუნდი თბილისში გამართავს საერთაშორისო შეხვედრას თბილისის საოლქო სასპორტო კლუბის ფეხბურთელებთან.

3. ი. ლენინის ცხოვრებისადმი მიძღვნილი სპექტაკლი

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს დაუკავშირა გრიბოედოვის სახელობის თეატრმა თავისი ახალი დადგმა — „ქარიშხლიანი წელი“, რომელიც განხორციელებულ იქნა ამ დღეებში.

დრამატურგ ა. კაპლერის ეს პიესა ასახავს დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის იმ პერიოდს, როცა რევოლუციის პირველ ხანებში სრულიად ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა გმირულად ებრძოდა უცბოელ ინტერვენტებსა და შინაურ მტრებს, როცა მტკიცდებოდა და ყალიბდებოდა საბჭოთა არმია. სპექტაკლში ასახულია კონტრრევოლუციონერების თავდასხმა ლენინზე.

ახალი სპექტაკლის დადგმა განახორციელეს რეჟისორმა ა. ვიპმანმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მხატვარმა ი. შტენბერგმა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა კომპოზიტორმა ა. ბალანჩივაძემ.

ვ. ი. ლენინს განასახიერებს ამ როლის ცნობილი შემსრულებელი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კ. მიუფეკი, ხოლო ნადეჟდა კრუპსკაიას როლს ასრულებს შახხიობი ა. მარკოვა. წარმოდგენაში მონაწილეობენ აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო არტისტები დ. სლავინი, ა. ზაგორსკი, კ. დობჟინსკი, ა. სმირანინი, რსფსრ დამსახურებული არტისტები ა. ერმილოვი და ი. ბროსეევიჩი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ი. რუსინოვი, ვ. ზახაროვა, ს. სმირნოვი, ა. სმირნოვა, ი. ზლობინი, მსახიობები მ. მინეევი, ე. კერენცევიჩი, ბ. ნიკიფოროვი, ი. შევჩუკი, ი. ლიუბარსკი, ნ. ტრიანინოვი, რ. ნიგაი და სხვები.

სპექტაკლი „ქარიშხლიანი წელი“ გათვალისწინებულია მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე საჩვენებლად.

ოქტომბრის ზეიმის აღსანიშნავად

მოსკოვი, 2 ნოემბერი. (სპეც. კორ.). დამთავრდა უძლიერეს კალათბურთელთა კონცერტ-ლექციების ასპარეზობა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი.

დასკვნითი შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს მოსკოვისა და ლენინგრადის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა. ორივე მატჩში გაიმარჯვეს მოსკოველებმა. კალათბურთელმა ქალებმა შეხვედრა მოიგეს 54:44, კაცებმა — 86:75. გამარჯვებულ გუნდებს სამზეიმოდ გადაეცა სპეციალური პრიზები — თასები.

სსრ კავშირის პირველობაზე

სტალინი, 1 ნოემბერი. აქ გაიმართა მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის 1957 წლის პირველობაზე. თამაშობდნენ სტალინის „შახტიორისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდები. შეხვედრა დამთავრდა „შახტიორის“ გამარჯვებით, ანგარიშით 1:0.

• • •

მატჩი კიევში ადგილობრივ „დინამოსა“ და ყუბანშეზეის „კრილია სოვეტოვს“ შორის დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით 2:0.

რედაქტორი პ. რატიანი.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია ძერჟინსკის სახელობის კლუბში
(ბესიკის ქ. № 4)
3, 5, 6, 7, 8 ნოემბერს
მოსკოვში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-6 მსოფლიო ფესტივალის მონაწილე
საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი „რ ე რ ო“
სადღესასწაულო კონცერტები
მონაწილეობენ სოლისტები: **ლილი გეგელია, ნაზი დუმბაძე, ზურაბ რცხილაძე,** რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **ნონა გუნია, გივი კოჯორაშვილი, ოთარ კალანდაძე.**
კონფერანსიე **ავთანდილ გელოვანი**
ქართლოს კასრაძე
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ბილეთები იყიდება.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი
4 ნოემბერს
ფ ე ხ ბ უ რ თ ი
საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა
ქალ. ტურკუ (ფინეთი)
სამხედრო ოლქის სასპორტო კლუბი (თბილისი)
დასაწყისი 3 საათზე.
ბილეთები წინასწარ გაიყიდება 3 ნოემბერს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონისა და ოფიცერთა სახლის (რუსთაველის პროსპ. № 16) სალაროებში.

თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში
(ძარჯანიშვილის ქ. № 7)
მოწყობილია სადღესასწაულო ვაჭრობა ფართო ასორტიმენტით. იყიდება მამაკაცის, ქალის და ბავშვის მზა ტანსაცმელი, შალის, ბაბრეშუმის, შტაპელის და ბამბის ქსოვილები, თავსამკაული, თავსახვევები, მამაკაცის, ქალის და ბავშვის წინდები, ხელჩანთები, პარფიუმერია, სასპორტო საქონელი, საოჯახო ნაწარმი, საათები, ტელევიზორები, რადიომიმღებები, ფოტოაპარატები და სხვა საქონელი.

ᲓᲦᲔᲡ
თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — გედების ტბა (დილას), აბესალომ და ეთერი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ხალისიანი მეგობრები (დილას), რღვევა (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — გაზაფხულის ნიაღვარი (დილას), ნანა (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — მფლანგველი (დილა-საღამოს), **მუხიკალური კომედიის** — რაც გინახავს, ვეღარ ნახავ (დილას), დინარა (საღამოს), **სომხური დრამის** — მორგანის მძახალი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ამბავი ორი ბიჭისა (აბონემენტი № 10, 12 ს.), გიქორი (აბონემენტი № 32, 4 ს.), **ფილარმონია** — პიანისტ რ. პეტროსიანის (პარიზი) კონცერტი (რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი, 9 ს.), ჯაზ-ორკესტრის კონცერტი გ. გაბესკირიას ხელმძღვანელობით (საზამთრო თეატრი, 9 ს.)

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხთრო), **ოქტომბერი** (საზამთრო), **ისანი** (საზაფხთრო), **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვისა და ჭავჭავაძის სახელობის კლუბები, კომფორტის ბაღი** — დედის სიყვარული, **ამირანი** (საზაფხულო)—საქმე № 306, **ისანი** (საზაფხულო) — მე შევხვდი ქალაშვილს, **კომკავშირელი, კოლხიდა** (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი, დიდუბე** (საზამთრო) —მეფრინველენ წეროები, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **კოლხიდა** (საზაფხულო) **ძერჟინსკის სახელობის კლუბი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — თოვლის დედოფალი, **კიროვის სახელობის პარკი, საქართველო** (საზაფხულო) — ჩვენ დავმეგობრდით მოსკოვში, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — ანა კისერზე, **გორკის სახელობის კლუბი** — ის თუ არა, ეს, **კოლმეურნე** — გორგი საკაძე (I და II სერია), **დიდუბე** (საზაფხულო) — მზითვიანი ქორწილი, **ხარეზოო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — სამოთხის ჩიტები.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამწლიანი რესპუბლიკური პარტიული სკოლის პროფესორ-მასწავლებლები და მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან
ლამარა ვახტანგის ასულ გრიგოლაიას
გარდაცვალებას.

დედა ჟენია მელაძე იუწყება
თეიმურაზ ვახტანგის-ძე უგულავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-XI, 4 ს. სოფ. მათხოჯში (წულუკიძის რ.).

შვილები ალექსი, ეკატერინე, თამარ, ეთერ, ნატალია, რძალი ვარვარა ოჯახებით იუწყებიან
სოლომონ სოლომონის-ძე გოხელაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-XI, 3 ს. სოფ. შერთულში (გორის რ.).

დედა ლუბა, და ლელი, ვერა ჩანკვეტაძეები, კ. მდივანი, სიძე ა. ცაგარელი იუწყებიან
სოსო სოკრატის-ძე ჩანკვეტაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-XI, 8 ს. გამოსვენება 5-XI, 4 ს. შეროზიას ქ. № 8.

შვილები გიორგი, ვიქტორ, გრიგოლ, სევერიანე, ვარა, ბაბულია, რძლები ნინო, ვერა, ლოლა, მარიამ, სიძე ე. გონგაძე ოჯახებით იუწყებიან
ვერა მარკოზის ასულ რაჭველიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-XI, 8 ს. გამოსვენება 5-XI, 4 ს. საბჭოს ქ. №1.

დები ლუბა, ქსენია ღაღანიძეები, სიძე ა. ერისთავი შვილით იუწყებიან
ნადია ზოსიმეს ასულ ღაღანიძე-ლეფავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-XI, 3 ს. სოფ. ღანირში (სამტრედიის რ.).

მეუღლე თინათინ, შვილები ლამარა, ბიძინა, და დოდო, ძმები მიხეილ, კონსტანტინე, ამბროსი ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან
ვარლამ ვლადიმერის-ძე ღოღელიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-XI, სოფ. ჭყვიშში (ამბროლაურის რ.).

მეუღლე ვლადიმერ, შვილები კარლო, კლარა, ვახტანგ, დიანა, ოტო, დედა ეფრო, ძმები ხოე, სევერიანე, ლიპარი, და ქეთევან, სიძეები ი. კრავიშვილი, გ. ზურაბიანი ოჯახებით, რძალი ვეხერა იუწყებიან
ლიდა ალექსის ასულ ყურუა-ჯაბუას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-XI, 5 ს. ქ. ზუგდიდში, გამოსვეხება ნარამანოვის ქ. № 35.

შვილები ქეთევან, მარგ